**დანართი N1**

**ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-ს 2025 წლის**

**გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია**

ქედის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა შეიქმნა 2023 წლის ნოემბრის თვეში. 2025 წლის საშტატო ნუსხაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს: საშტატო-27, შტატგარეშე-9, დღეის მდგომარეობით ყავს 10(ათი) მწვრთნელი. ბავშვთა საფეხბურთო კლუბში ფუნქციონირებს ფეხბურთის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი, მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ტურნირებში და აქვთ შედეგები, სპორტული სწავლებები და ინტერესი დღითიდღე იზრდება, სადაც 200-მდე ბავშვია ჩართული. ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს მიზანია ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის პოპულარიზაცია, ხელშეწყობა და კლუბებში ჩართულობის უზრუნველყოფა. ასევე გოგონათა სექციის ფეხბურთის განვითარება. კლუბი ასევე უზრუნველყოფს ფეხბურთელების ტრანსპორტირებას გასვლით რესპუბლიკურ ტურნირებზე და ასევე ხდება ტრანსპორტირება (ფეხბურთელების გადაყვანა) ყოველდრიურ მეცადინეობაზე მონაწილეობის მიზნით.

კლუბისთვის მნიშვნელოვანია მაღალი მიღწევების სპორტის, სამწვრთნელო-საშეჯიბრო საქმიანობის მხარდაჭერა. ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების განვითარება, ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლენა და მომზადება.

ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ში დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 2(სახეობა) სექცია, მათ შორის 8(რვა) ჯგუფი:

1. ფეხბურთი (გოგონები) 1 (ერთი) ჯგუფი;

2. ფეხბურთი (ბიჭები) 7(შვიდი) ჯგუფი;

ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს 2025 წლის ფეხბურთის სხვადასხვა ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას ღებულობდა გასვლით რესპუბლიკურ ტურნირებზე და გავიდა საპრიზო ადგილზე.

## ფინანსური ანალიზი

2025 წელს ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს ფუნქციონირებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 647 700 (ექვსასორმოცდაშვიდიათასშვიდასი) ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 643 864 (ექვსასორმოცდასამიათასრვაასსამოცდაოთხი) ლარი და 90 თ.

კერძოდ:

1 სპორტულ ღონისძიებებძზე გაიხარჯა 116 289,62 ლარი. ქვეყნის შიგნით ტურნირებზე 29 042 ლარი, ქვეყნის გარეთ ტურნირებზე 87 247,62 (ანტალია).

2 ოფისის ხარჯები 2 679,4

3 სამედიცინო ხარჯები, სპორცმენთა გამოკვლევა მედიკამენთების შეძენა 6 193,6 (აქედან სპორტსმენთა გამოკვლევა - 4900, სამედიცინო ხარჯი-1293,6)

4 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები 12 794,0 (აქედან უნიფორმა - 5594, ბეხბურთის ბურთი - 7200)

5 ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები 8975.5

6 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება 108 680,0

7 შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 386 322,8

8 არაფინანსური აქტივები. კომპიუტერის შეძენის ხარჯი 1 800,0

## მიღწეული შედეგები:

1. 2025 წლის 24 აპრილიდან 27 აპრილის ჩათვლით 4(ოთხი) დღით ქალაქ ბათუმში მუხრან ვახტანგაძის სახელობის სასპორტო სკოლის ფეხბურთის მოედანზე ჩატარდა საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის მიხეილ სალუქვაძის ტურნირი მინი ფეხბურთში 2009-2010 წლებში დაბადებულთა შორის.

ტურნირი რამდენიმე ეტაპად გაიმართა, ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ახალციხე 0 – 4 ბეთლემი ქედა და ფინალის საგზური მოვიპოვეთ, ფინალური შეხვედრა გაიმართა ვესტჯორჯია 2 – 3 ბეთლემი ქედა და გავხდით ტურნირის ჩემპიონი.

ასევე გვყავს ტურნირის სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოებულები:

1. საუკეთესო მეკარე ლუკა გოგიტიძე;
2. საუკეთესო გამათამაშებელი გეგა მახარაძე;
3. ტურნირის ბომბარდირი გეგა ბერიძე.

გუნდი დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით: დიპლომებით, მედლებით და ფორმებით.

2. 2025 წლის 26 ივნისიდან 29 ივნისის ჩათვლით 4(ოთხი) დღით ქალაქ ბათუმში ბაკურის ფეხბურთის მოედანზე, სადაც ჩატარდა შავი ზღვის საფეხბურთო ღია ფესტივალი ბაკურის თასზე 2016 წელში დაბადებულთა შორის. ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს ფეხბურთის ნაკრები გუნდი გავიდა მეორე ადგილზე.

3. 2025 წლის 01 ივლისიდან 04 ივლისის ჩათვლით 4(ოთხი) დღით მივლინებული ვიყავი ქალაქ ბათუმში ბაკურის ფეხბურთის მოედანზე, სადაც ჩატარდა შავი ზღვის საფეხბურთო ღია ფესტივალი ბაკურის თასზე 2015 წელში დაბადებულთა შორის. ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს ფეხბურთის ნაკრები გუნდი გავიდა პირველ ადგილზე.

4. 2025 წლის 06 ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით 5(ხუთი) დღით ქალაქ ბათუმში ბაკურის ფეხბურთის მოედანზე, სადაც ჩატარდა შავი ზღვის საფეხბურთო ღია ფესტივალი ბაკურის თასზე 2014 წელში დაბადებულთა შორის. ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს ფეხბურთის ნაკრები გუნდი გავიდა პირველ ადგილზე.

5. 2025 წლის 12 ივლისიდან 16 ივლისის ჩათვლით 5(ხუთი) დღით მივლინებული ვიყავი ქალაქ ბათუმში ბაკურის ფეხბურთის მოედანზე, სადაც ჩატარდა შავი ზღვის საფეხბურთო ღია ფესტივალი ბაკურის თასზე 2013 წელში დაბადებულთა შორის. ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს ფეხბურთის ნაკრები გუნდი გავიდა მეორე ადგილზე.